მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი 20(153) 2017 წ. 16-31 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი

21 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების წინასწარი შედეგები

მერის არჩევნების შედეგები

№2 ამირან სონიშვილი – 1788 – 9.81%
№ 5 გარსევან ბუხნიკაშვილი – 2346 – 12,87%
№ 8 სოსლან გარსევანიშვილი – 1449 – 7.95%
№41 გიორგი ერბოწონაშვილი – 12642 – 69.37%

ვრცელდება არჩევნების შედეგები

№2 ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო	– 1699	– 9,29%
№3 დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო	– 539	– 2,95%
№5 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	– 2340	– 12,79%
№8 დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	– 1559	– 8,52%
№10 შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია	– 632	– 3,45%
№31 თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა	– 48	– 0,26%
№38 სახალხო - ხალხის ერთსულოვნება	– 110	– 0,60%
№41 ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	– 11371	– 62,14%

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები გახდნენ:

გომბორი – დავით არაბული №41
კოჭბანი – ხათუნა ბერიძე №41
უჯარმა – კონსტანტინე ღოღელიანი №42
ხაშმი – ნიკო ნახუცრიშვილი №41
პატარძეული – დავით თათრიშვილი №41
ნინოწმინდა – ელენე სამხთუაშვილი №41
საგარეჯო – ოთარ ჩალათაშვილი №41
საგარეჯო – ივანე ივანიშვილი №41
გიორგიწმინდა – ივანე ბეჟიაშვილი №41
თოხლიური – ვეფხია ჩერქეზიშვილი №41
მანავი – ნიკო გიუაშვილი №41
ჩაილური – მამუკა ჯაჭვაძე №41
კაკაბეთი – დიმიტრი მჭედლიშვილი №41
ყანდაურა – ავთანდილ გოგიაშვილი №41
მზისგული – სოსო ჭიკაძე №41
შიბლიანი – თენგიზ ძირკველიშვილი №41
იორმუღანლო – აიაზ ბაირამოვი №41
ლამბალო – ელშად კურბანოვი №41
თულარი – ილგან ოჯახვერდიევი №41
დუზაგრამა – ეთბარ ილიასოვი №41
უდაბნო – ალექსი იოსელიანი №41
სათაფლე – გიორგი მუჩიაშვილი №41

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

17 ოქტომბერი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე *მუნიციპალიტეტის გამგებლის I მოადგილე* **პაატა ასრათაშვილი** უძღვებოდა. თათბირის დასაწყისში მან თითოეული სოფლის მიხედვით მოსახლეობისათვის განვლილი ღამის გრიგალით მიყენებული დაზიანებები გამოიკითხა. როგორც გაირკვა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გრიგალმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ელექტროგადამცემ ხაზებს, რის გამოც ელექტროენერგიის მიწოდება მთელი ღამის განმავლობაში შეუწყდა მუნიციპალიტეტს.

– აღნიშნული დაზიანებების აღმოსაფხვრელად ელექტროკომპანიის მთელი შემადგენლობა დილიდანვე შეუდგა მუშაობას, – აღნიშნა საუბრისას პაატა ასრათაშვილმა, – დილის 10 საათისათვის განახლდა ელექტროენერგიის მიწოდება თითქმის ყველა სოფლისათვის.

გამგებლის წარმომადგენლის მზისგულში მიხეილ ობოლაშვილის ინფორმაციით გრიგალმა სახურავის ნაწილი გადახადა სოფლის ადმინისტრაციულ შენობას.

თათბირზე დაწვრილებით იქნა გამოკითხული ინფრასტრუქტურის ხაზით სოფლებში არსებული მდგომარეობა და როგორც გამგებლის წარმომადგენლის გომბორში ნოშრევან ნეკრესელაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გაირკვა, გომბორში მოგვარდა იქ არსებული ცენტრალური გზის პრობლემური მონაკვეთის მოწესრიგების საკითხი. ასევე, შიბლიანში (გამგებლის წარმომადგენელი რობიზონ სადუნაშვილი) დამთავრდა სოფლის გაზიფიცირების გარე-სამუშაოები, გაზიფიცირების გარე-სამუშაოები დაიწყო და მთავრდება სოფელ უჯარმაშიც. საუბარი შეეხო გაზიფიცირების დროს უკვე მოწესრიგებული ქუჩების ნაწილობრივ დაზიანებებს, რაზედაც, როგორც პაატა ასრათაშვილმა განმარტა, სოფლების გაზიფიცირების სამუშაოების ჩამტარებელ კომპანიასთან არსებული ხელშეკრულებით, მშენებლებმა ქუჩებს და გზებს პირვანდელი სახე უნდა დაუბრუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ განხორციელდება საჯარიმო ღონისძიებები.

გამგებლის წარმომადგენლის ხაშმში ზურაბ ყირმელაშვილის ინფორმაციით გარე განათება გაკეთდა ხაშმის ერთ ქუჩაზე. – ქუჩის გარე განათების იმედი გაუჩნდათ მეორე, მესამე ქუჩის მოსახლეობასაცო, – აღნიშნა მან.

თათბირზე, ასევე, განხილულ იქნა საარჩევნო უბნებში არჩევნებისათვის მზადყოფნის ტექნიკური ნიუანსები.

თათბირზე გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ზურაბ ივანელაშვილი და გამგეობის სამნეო ნაწილის მთავარი სპეციალისტი მიხეილ კერატიშვილი ესწრებოდნენ. მათ კონკრეტული დავალებები მიეცათ ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც თათბირზე იქნა განხილული და რაც მათი საქმიანობის სფეროში შედის. კონკრეტული დავალებები მიეცა შპს „საგარეჯოს“ თანამშრომლებსაც.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა გააკეთა ინფორმაცია აზიური ფაროსანას გავრცელების არეალის და მათგან თავის დასაცავად არსებული ღონისძიებების შესახებ.

თათბირზე იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე და დასახეს ღონისძიებები არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

24 ოქტომბერი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირზე თითოეული გამგებლის წარმომადგენლის მიერ დეტალურად იქნა წარმოდგენილი ცალკეულ სოფლებში არსებული მდგომარეობა სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისა და სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გრაფიკის შესახებ. როგორც აღინიშნა, ზოგიერთ სოფელში კვლავ პრობლემად რჩება მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება სტიქიური ნაგავსაყრელების მიმართ, თუმცა ეს პრობლემა მალე მოგვარდება – მოქმედი გრაფიკით სოფლებიდან ნაგავმზიდი მანქანებით საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა თითოეულ მოსახლეს გაუადვილებს გრაფიკის მიჩვევას.

თათბირზე საუბარი შეეხო სოფლად არსებული გზების მდგომარეობას, დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები გზების მოსაწესრიგებლად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური

ზედამხედველობის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: ზედამხედველობის განხორციელება მშენებარე შენობა-ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო ნაგებობების კონსტრუქციების საპროექტო და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე; გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე-ვაჭრობაზე, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე; მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე.

<u>სამსახურის უფროსი</u>

ზურაბ ივანელაშვილი

დაიბადა 1985 წელს

განათლება – საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელი (2003-2007წწ); საავიაციო ინსტიტუტი, ინჟინერ-ტექნიკოსი (2006-2008წწ).

სამუშაო გამოცდილება – სამშნებლო კომპანია „ნოლა“ – ტექნიკოსი, ჯგუფის უფროსი (2009-2010წწ); სამშენებლო კომპანია „ჰალი-ტრასტი“, ტექნიკური ჯგუფის უფროსი (2010-2011წწ). საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (2016წ). 2016 წლიდან დღემდე აღნიშნული სამსახურის უფროსია.

<u>II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი</u>

ლევან ნაკულაშვილი

განათლება – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი – ბუღალტერ-ეკონომისტი (1990-1996წწ); ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი – იურისტი, სამართალმცოდნეობა (2000-2004წწ).

სამუშაო გამოცდილება: ეკონომისტი – საგარეჯოს საბინაო-კომუნალური მეურნეობა (1995-1996წწ); ინსპექტორი – საგარეჯოს საგადასახადო ინსპექცია (1996-1998წწ); თავმჯდომარის თანაშემწე – ქალაქ საგარეჯოს გამგეობა (1998-2003წწ); სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი – საგარეჯოს რაიონული გამგეობა (2003-2006წწ); არასაგადასახადო შემოსავლების განყოფილების სპეციალისტი – საგარეჯოს რაიონული გამგეობა (2006-2007წწ); ეკონომიკური განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2008წ); ეკონომიკის განვითარების მთავარი სპეციალისტი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2008-2009წწ); ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (გზებისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში) – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2009-2014წწ); გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი (2014-2017წწ). 2017 წლის ივლისიდან დღემდე სამსახურის მთავარი სპეციალისტია.

<u>არქიტექტურისა და მშენებლობის ინსპექტორი</u>

ზურაბ ზირაქაშვილი

დაიბადა 1957 წელს.

განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელი (1991-1994წწ); თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი, საინჟინრო გეოდეზია (1976-1979წწ).

სამუშაო გამოცდილება: საგარეჯოს ავტოშემკეთებელი ქარხანა – ზეინკალი (1974-1976წწ), საგარეჯოს ტექბიურო – ტექნიკოსი (1979-1982წწ). საგარეჯოს წყალკანალის უფროსი (1982წ); საგარეჯოს IV საშუალო სკოლის სამხედრო მომზადების ხელმძღვანელი (1983წ); საგარეჯოს სახარჯთაღრიცხვო ბიუროს არქიტექტორი (1983-2000წწ); საგარეჯოს ქალაქის რწმუნებულის თანაშემწე (2000-2015წწ); საგარეჯოს სატყეო უბნის უფროსი (2015-2016წწ); 2017 წლის 1 ივლისიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტორია.

<u>მთავარი სპეციალისტი ზედამხედველობის საკითხებში</u>

სოსო ქარსაულიძე

დაიბადა 1979 წელს.

განათლება: საქართველოს შინაგან საქმეთა აკადემია, საერთაშორისო სამართალი (1998-2002წწ).

სამუშაო გამოცდილება – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი (2013-2014წწ); 2014 წლიდან დღემდე – მთავარი სპეციალისტი ზედამხედველობის საკითხებში.

<u>II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების საკითხებში</u>

ირმა ტიგინაშვილი

დაიბადა 1975 წელს.

განათლება: სპეციალობა დაწყებითი განათლება და პედაგოგიკა, საგარეჯოს პოლიტექნიკური კოლეჯი.

სამუშაო გამოცდილება: სპეციალისტი – საგარეჯოს რაიონის სოცდახმარების განყოფილება (1998-2006წწ); სპეციალისტი საგარეჯოს რაიონის გამგეობის სოციალური სამსახური (2006-2010წწ), ამავე რაიონის გამგეობის კანცელარიის განყოფილების უფროსი (2010-2013წწ); 2013 წლიდან დღემდე ზედამხედველობის სამსახურშია.

<u>დასასრული მე-6 გვერდზე</u>

სოფლის მეურნეობა

„რთველი-2017“ წარმატებულად გრძელდება

მოსავალი-შემოსავალი



ნელ-ნელა იწურება შემოდგომა და მასთან ერთად რთვლის დღეებიც. მართალია ოქტომბერში მოსულმა წვიმებმა და ქარმა ოდნავ შეაფერხა რთვლის მიმდინარეობა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ჩვენს მევენახეებს მოსავლის აღება-დაბინავებაში. საქართველოს ხელისუფლების დახმარებით, როგორც იტყვიან, წელს მათ „მწვანე გზა“ აქვთ გახსნილი იმისათვის, რომ მოწეული ყურძენი თავიანთი სურვილის მიხედვით ჩააბარონ მუნიციპალიტეტში გახსნილ, თუ კახეთის და სხვა პირველად გადამამუშავებელ ქარხნებს,რაც ხელს უწყობს რთვლის წარმატებით მიმდინარეობასა და დამთავრებას. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 17 ოქტომბრის მდგომარეობით საგარეჯოელი მევენახეების მიერ მთლიანობაში მოკრეფილი და ყურძნის მიმღები ქარხნებისათვის ჩაბარებული იყო **11396 ტონა** ყურძენი, რაც ფულად გამოსახულებაში **16 მილიონ 703157** ლარს შეადგენს. აქედან რქაწითელი ჩაბარებული იყო 5064 ტონა (5209176 ლარი), საფერავი – 5287 ტონა (10120673 ლარი), მწვანე – 987 ტონა (1290746 ლარი), სხვა ჯიშის ყურძენი – 58 ტონა (82563 ლარი).

ამ დღისათვის ყველაზე მეტი ყურძენი ჩაბარებული ჰქონდა კაკაბეთის მოსახლეობას, ანუ მთლიანობაში ყველა ჯიშის 3260 ტონა ყურძენი, მანავის მოსახლეობას – 1497 ტონა, თოხლიაურის – 1211 ტონა, პატარა ჩაილურის – 1186 ტონა, დიდი ჩაილურის – 1027 ტონა, ვერხვიანის – 597 ტონა, ნინოწმინდის – 159ტონა, ყანდაურის – 150 ტონა, ბადიაურის – 241 ტონა, გიორგიწმინდის – 441 ტონა, მზისგულის – 426 ტონა, საგარეჯოს – 557 ტონა, შიბლიანის – 375 ტონა, ხაშმის მოსახლეობას – 164 ტონა. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობა ღვინის ქარხნებისათვის ჩაბარების გარდა, ბაზარზეც ახდენს ყურძნის რეალიზაციას, მუნიციპალიტეტში მოწეული და დაბინავებულია გასულ წელთან შედარებით ბევრად მეტი ყურძენი.

რთველი გრძელდება.

გ. დაბახიშვილი

მომავალ მოსავალს საშიშროება რომ არ შეექმნას

ერთად ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას



რა არის აზიური ფაროსანა და როგორ ვებრძოლოთ

აზიური ფაროსანა (Halyomorpha Halys) საქართველოში პირველად 2015 წელს დაფიქსირდა.

მავნებელმა 2016 წელს თხილის მოსავლის მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია და გარკვეულწილად სიმინდიც დააზიანა. გარდა ამ კულტურებისა, ფაროსანა აზიანებს ხეხილოვან, კენკროვან და ბოსტნეულ კულტურებს, განსაკუთრებით ატამს, ვაშლატამას, ვაშლს, მსხალს, ჟოლოს, პომიდორს, წიწაკას და მზესუმზირას. მავნებლის ძლიერი გავრცელების დროს მოსავლის დანაკარგებმა შესაძლოა 70%-ს მიაღწიოს.

აზიური ფაროსანა გაზაფხულზე - აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისიდან მცენარეზე სახლდება და მავნეობას გვიან შემოდგომამდე აგრძელებს. მავნებელი იკვებება ფოთლის, ყლორტისა და ნაყოფის წვენით. ფაროსანა ხორთუმის მეშვეობით ხვრეტს ახალშემოსული თხილის ნაჭუჭს, ათხელებს ნაყოფის შიგთავსს და წარმოქმნის კორპისებრ ლპობად ლაქებს. ფაროსანას მიერ დაზიანებული ხეხილის ნაყოფი დეფორმირდება, დაზიანების ადგილებში ვითარდება ყავისფერი ლაქები და ხილი საკვებად გამოუსადეგარი ხდება.

ფაროსანა სიმინდზე გადადის ტაროს რძისებრ სიმწიფეში შესვლის პერიოდში. ის ინტენსიურად ჩხვლეტს სიმინდის ფუჩეჩს და აზიანებს მარცვალს.

მავნებელი გადასაზამთრებლად შედის საცხოვრებელ სახლებში,ფარეხებში, ცხოველთა სადგომებში, ფარდულებში; ძვრება ნაპრალებში, სხვენზე, კარისა და ფანჯრის ღრიჭოებში, ასევე, ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი ფოთლების სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფუღუროებში.

გამოზამთრერბის შემდეგ აპრილის ბოლოს-მაისის დასაწყისში, აზიური ფაროსანა გამოდის,იწყებს მცენარეებით კვებას და კვერცხდებას. აზიური ფაროსანა სულ 200-მდე კვერცხს დებს, მათ შორის ერთ კერაში 30-მდე კვერცხს ძირითადად ფოთლის ქვედა მხარეს ჯგუფებად. კვერცხი თეთრი ფერისაა და გამოჩეკვის წინ იღებს ოქროსფერ შეფერილობას. 4-5 დღეში იჩეკებიან მოწითალო ნიმფები (მატლები), რომლებიც ფერს თანდათან იცვლიან (მეორე ასაკში მოშავო, ხოლო შემდგომ - მოთეთრო-ყავისფერი ხდებიან), ასაკის გავლის შემდეგ გადაიქცევიან ზრდასრულ მავნებლად - იმაგოებად; 50-55 დღეში აღწევენ ზრდასრულ ასაკს, რომლის ზომა 12-17 მმ-ია. ფაროსანას ახასიათებს განიერი, ყავისფერი, მარმარილოსებრი ტექსტურა, ხოლო ფეხებზე, მუცლის კიდეებსა და ულვაშებზე - თეთრი ზოლები.

ყურადღებით დაათვალიერეთ თხილნარი და სხვა მცენარეები! აღმოჩენის შემთხვევაში ფაროსანას კვერცხდების კერები მექანიკურად გაანადგურეთ!

როგორ უნდა ჩატარდეს ქიმიური წამლობა და რა სახის პრეპარატებია რეკომენდებული?

ქიმიური პრეპარატების შესხურება უნდა ჩატარდეს მათი გამოყენების წესების და ლოდინის პერიოდის მკაცრი დაცვით.

მავნებლის წინააღმდეგ გამოიყენება საქართველოში რეგისტრირებული სინთეზური პირეტროიდებისა და ნეონიკოტინოიდების ჯგუფის ინსექტიციდები. საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების მიხედვით და ამერიკელი მეცნიერების გამოცდილებით, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ყველაზე ეფექტიანია პირეტროიდული ჯგუფის ბიფენტრინის შემცველი პრეპარატები, რომელთაგანაც საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომია: ტალსტარი, ზონდერი, ინსეკარი და კურა-კურა. პრეპარატების ხარჯვის ნორმაა 0.6-1ლ/ ჰექტარზე.

ფაროსანას წინააღმდეგ ასევე გამოიყენება შემდეგი დასახელების ინსექტიციდები: პირინექს სუპერი (ბიფენტრინი+ ქლორპირიფოსი) - 0,8-1,5ლ/ჰა; ანტიხრუში (ბიფენტრინი+იმიდაკლოპრიდი) - 1კგ/ჰა; ნურელ დ (ქლორპირიფოსი+ციპერმეტრინი) - 0,4-1 ლ/ჰა; ეფდალ-ფოსეტრინი (ქლორპირიფოსი+ ციპერმეტრინი) - 0,4 ლ/ჰა; არივო (ციპერმეტრინი) - 0,2 ლ/ჰა; აქტარა (თიამეტოქსამი) - 0,12-0,14 კგ/ჰა; კონფიდორ მაქსი (იმიდაკლოპრიდი) - 0,1 კგ/ჰა და სხვა ზემოაღნიშნული ჯგუფების პრეპარატები.

როდის და რა პერიოდულობით უნდა ჩატარდეს წამლობა?

მნიშვნელოვანია რომ ხეხილისა და თხილის ბაღებში მაისიდან დაიწყოს ინტენსიური დაკვირვება. მასპინძელ მცენარეებზე მავნებლის გამოჩენის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ქიმიური წამლობა, რომელიც ეფექტურია ნიმფის (მატლის) ფაზაში

პირველი წამლობა ტარდება ნიმფების მასიური გამოჩეკვის შემდეგ, კოლხეთის დაბლობზე - ივნისის დასაწყისში, ხოლო მაღალი ზონის ადგილებში - შედარებით მოგვიანებით. ინსექტიციდების შესხურება ძირითადად ტარდება თხილნარებში, რადგან ამ პერიოდისათვის მავნებელი უპირატესად ამ კულტურაზეა დასახლებული. ამავე პერიოდში ტარდება შესხურება ნაყოფისმომცემ ხეხილოვან და ბოსტნეულ კულტურებზე

მეორე წამლობა ზემოჩამოთვლილ კულტურებზე ტარდება ივნისის ბოლოს - ივლისის დასაწყისში

მესამე წამლობა ტარდება თხილის მოსავლის აღების შემდეგ

მეოთხე წამლობა ტარდება სიმინდის და სხვა ნათესებში გავრცელებულ მავნებელზე ივლისის ბოლოს,აგვისტოს დასაწყისში

მეხუთე წამლობა ტარდება სიმინდის ნათესებში საჭიროების მიხედვით.

მოარიდეთ ფუტკარი ქიმიურ წამლობას, არ გამოუშვათ წამლობიდან რამდენიმე საათის განმავლობაში სკებიდან, შესხურება ჩაატარეთ დილის და საღამოს საათებში!

2017 წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ სათანადო სიფრთხილის გამოჩენისას, ფაროსანას წინააღმდეგ რეკომენდებული პრეპარატების რეგლამენტების დაცვით ჩატარებული წამლობა ფუტკრისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს.

როგორ ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას საცხოვრებელ სახლებსა და შენობებში

მავნებელი გამოსაზამთრებლად ინაცვლებს საცხოვრებელ სახლებსა და დახურულ შენობებში. მოზამთრე ფაზის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ თავშესაფარი ადგილებიდან უნდა დაიწყოს.

მსოფლიოს ექსპერტების რეკომენდაციით არსებობს მავნებელთან ბრძოლის მექანიკური მეთოდები, რომლებიც მოსახლეობის მიერ აქტიურად გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში.

ბრძოლის მექანიკური ღონისძიებები

1. მზადდება მარტივი კონსტრუქციის მუყაოს ან სხვა მასალის თავშესაფარი, რომელშიც მჭიდროდ თავსდება კვერცხის ჩასაწყობი მუყაოს ფირფიტები ან მსგავსი მასალა. აღნიშნულ თავშესაფრებს, გამოსაზამთრებლად დაძრული ფაროსანების მოზიდვის მიზნით, ათავსებენ სახლების მახლობლად, ამ გზით აგროვებენ მავნებელს და ანადგურებენ მექანიკურად

2. სახლებში შესულ ფაროსანასთან აუცილებელია მექანიკური ბრძოლა სხვადასხვა მეთოდით (მაგ.: მტვერსასრუტით შეგროვება და განადგურება)

3. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ასევე ეფექტიანად გამოიყენება ე.წ. „მოიზიდე და მოკალის“ მეთოდი. ინსექტიციდით გაჟღენთილი ბადე თავსდება ნაკვეთის პერიმეტრზე, სადაც მავნებლის მოზიდვის მიზნით მაგრდება 2-3 ერთეული ფერომონი. ბადესთან კონტაქტის შედეგად ფაროსანა კვდება.

4. ვეგეტაციის პერიოდში ბაღის კიდეზე არსებულ მცენარეზე 5 ან მეტი ფერომონი თავსდება და ტარდება ყოველკვირეული წამლობა ზემოთხსენებული ინსექტიციდებით.

არ დაიზაროთ ფაროსანასთან მექანიკური ბრძოლა, გახსოვდეთ, რომ ერთი ინდივიდის განადგურება ნიშნავს მომავალი სეზონისთვის 200-მდე ახალი მწერის მოსპობას!

ოქტომბერი – საშემოდგომო ხორბლის თესვის დრო

რბილი ხორბლის ტრადიციული ქართული ჯიშები მოსავლიანობა და გავრცელების შესაძლებლობები

საქართველო წარმოადგენს ხორბლის უძველესი კულტურის კერას და მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნებს შორის გამოირჩევა ამ მცენარის დიდი სახეობრივი და ჯიშობრივი მრავალფეროვნებით. მთელი იმ ჯიშობრივი სიმდიდრიდან, რომელიც საქართველოში საუკუნეთა მანძილზე შეიქმნა, განსაკუთრებით ძვირფასია რბილი ხორბლის საშემოდგომო ფორმები, რომლებიც ხასიათდებოდნენ წითელმარცვლიანობით, მაღალხარისხიანობით და წოდებული იყო „დოლის პურის“ სახელით. საქართველოში ეს ჯიშები ფართოდ იყო გავრცელებული. ქართული ხორბლის დიდი მრავალფეროვნება მეტყველებს, რომ ხალხური სელექცია ჩვენში ოდითგან მაღალ დონეზე იყო.

ქართული რბილი ხორბლის ფორმათა ფონდი შეიქმნა მათი მოყვანის განსხვავებულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში. ამიტომ, მრავალფეროვნებაში ცნობილია საგაზაფხულო და საშემოდგომო, ცვენადი და არაცვენადი, მკვრივთავთავიანი და ფაშართავთავიანი, მსხვილმარცვლიანი და წვრილმარცვლიანი, ფქვილისებრი და რქისებური მარცვლის კონსისტენციის მქონე, ადრეული და საგვიანო, ზამთარგამძლე და არაგამძლე, გვალვაგამძლე და ტენის მოყვარული, სოკოვან დაავადებათა მიმართ მდგრადი და სენმიმღები, მაღალმოსავლიანი და მცირემოსავლიანი ჯიშები და ფორმები. საქართველოში რბილი ხორბლის ვერტიკალური ზღვარი გადის 200-2300 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ქართული ეკოტიპის ხორბლის ფორმებისათვის მნიშვნელოვანი თვისებებია: 1. მარცვალში ცილის და შეუცვლელი ამინომჟავების გადიდებული შედგენილობა; 2. დაფქვისა და პურცხობის მაღალი ხარისხი; 3. გამომცხვარი პურის ხანგრძლივად შენახვისუნარიანობა; სწორედ ეს ნიშნებია, რითაც ქართული ჯიშები გამოირჩევა და საინტერესოა მსოფლიოს სელექციონერებისათვის.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ინტენსიურად შემოდის რბილი ხორბლის უცხოური ჯიშები. ეს ჯიშები ხასიათდებიან მაღალმოსავლიანობით, მაგრამ ხარისხობრივი მაჩვენებლებით მკვეთრად ჩამოუვარდება ადგილობრივ ჯიშებს. უხარისხო მო-

დასასრული მეოთხე გვერდზე

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ

ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 90-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲐ ᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛ ᲖᲔᲛᲝ ᲥᲐᲜᲓᲐᲣᲠᲐᲨᲘ, ᲨᲘᲑᲚᲘᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲯᲐᲠᲛᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ.

ᲨᲘᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲛᲝ ᲥᲐᲜᲓᲐᲣᲠᲐ

ᲨᲘᲑᲚᲘᲐᲜᲨᲘ ბუნებრივი აირის გამტარი ცენტრალური ხაზი სოფელ ვერხვიანიდან გამოდის. ეს ხაზი 13 კმ სიგრძისაა. აღნიშნული ხაზი ზემო ქანდაურის 22 აბონენტს მიაწოდებს ბუნებრივ აირს, აქედან გრძელდება შიბლიანის მოსახლეობამდე. 18 ოქტომბრისათვის შიბლიანში უკვე დამთავრდა შიდა ქსელის სამუშაოები, მიმდინარეობს აღნიშნული ხაზის შემოწმება ექსპლოატაციაში გაშვებამდე, შემდეგ კი გაგრძელდება სოფლის საუბნო გზებით დაქსელვა. უმოკლეს დროში აქ 170 აბონენტი მიიღებს ბუნებრივ აირს.

ᲣᲯᲐᲠᲛᲐ

ᲣᲯᲐᲠᲛᲘᲡ მოსახლეობისათვის მართლაც მოულოდნელი სიხარული იყო სოფლის გაზიფიცირების შესახებ ინფორმაცია. როცა აქ აირის გადამცემი ხაზის მშენებლობა დაიწყო, მხოლოდ მაშინ დარწმუნდნენ – მათ ზამთარში ბუნებრივი აირის გამოყენების შანსი ექნებათ. ხაზი გამგებლის წარმომადგენლის დავით აბელაშვილის თქმით სოფელ ახალსოფლიდან არის გამოყვანილი და ცენტრალური მაგისტრალის სიგრძე აქ 15 კმ-ია. რაც შეეხება სოფლის შიდა ქსელებს, დაქსელვის სიგრძე მთლიანად 9 კმ-ს შეადგენს. უჯარმაში 300 კომლი ცხოვრობს, მათგან რამდენი აბონენტი ჩაერთვება ბუნებრივი აირით მომსახურების სიაში, ეს უკვე მათი სურვილია. გაზიფიცირებას უჯარმის თემის სხვა სოფლების მოსახლეობა მომავლისათვის დიდი იმედით ელოდება. ამჯერად მხოლოდ სოფელ უჯარმის გაზიფიცირებაა მიზნად დასახული.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

რბილი ხორბლის ᲒᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲯᲘᲨᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ

სავალს არ იბარებს წისქვილკომბინატი და ფერმერებს უჭირთ მათი რეალიზაცია, ამით კი მცირდება ხორბლის მოყვანისადმი ინტერესი. ჩვენი დაკვირვებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შემოტანილი ჯიშების მაღალმოსავლიანობას განაპირობებს შემოტანილი თესლის ხარისხი. შემოტანილი ჯიშების ელიტური თესლი მაღალმოსავლიანია პირველ და მეორე წელს, შემდეგში კი მათი მოსავალი ისეთივეა, როგორც ადგილობრივი ჯიშების, რომლებიც მაღალხარისხიანია.

2014-2016 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზებზე: დედოფლისწყაროს, თელავის, ხაშურის და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე შევისწავლეთ ქართული რბილი ხორბლის ჯიშების პოტენციური მოსავლიანობა, რომელიც შედარდა სტანდარტ ბეზოსტაია 1-ს და ინტროდუქცირებულ პერსპექტიულ ავსტრიულ ჯიშებს: ამიკუს და გალლუს. ცდის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა ჯიშების მოსავლიანობის პოტენციალური შესაძლებლობა, დაგვედგინა კონკურენტუნარიანობა ინტროდუქცირებულ ჯიშებთან შედარებით და დაინტერესებულ ფერმერებს მივაწოდოთ დაზუსტებული ინფორმაცია მათი გამოყენების შესახებ.

ახალციხის (მესხური) წითელი დოლის პური მიეკუთვნება რბილი ხორბლის წითელთავთავიან სახესხვაობას. გვხვდება ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე. საკმაოდ ზამთარგამძლე, საგვიანო ჯიშია. ღერო საშუალოდ შეფოთლილი, მაღალ აგროფონზე და სარწყავ პირობებში ახასიათებს ჩაწოლა. თავთავი საშუალო ზომისაა, თითისტარისებრი ფორმისა და მომწიფებისას დახრილია. მარცვალი წითელი, წაგრძელებული რქისებრი კონსისტენციის. მარცვალი კილებში მჭიდროდ არის ჩამჯდარი და არ ხასიათდება ცვენადობით. მარცვალში მაღალია ცილის შემცველობა (18,8%). ფქვილისაგან პურის ცხობის უნარი საშუალოზე მაღალია. ჯიში დარეგისტრირებულია 1959 წლიდან და მაღალპროდუქტიულია გავრცელების (მესხეთ-ჯავახეთი) ზონაში.

ვარძია განვითარების ტიპის მიხედვით ორთესელა (ფაკულტატური) ჯიშია, საშუალო საადრეო. მცენარის სიმაღლე 80-85 სმ. თავთავი ფხიანი, წითელი, მოკლე, ნახევრად ქინძისთავისებრი, მკვრივი, თავთავის სიგრძე 8-9 სმ, ადვილად ილეწება და არ ხასიათდება მარცვლის ცვენადობით. მარცვალი ნახევრადოვალური, მრგვალი. თავთავში მარცვლების რაოდენობაა 60-72. გამოირჩევა სოკოვანი დაავადებების მიმართ გამძლეობით. ჯიში დარეგისტრირებულია 1994 წლიდან და გავრცელებულია შიდა ქართლის კერძო ფერმერულ მეურნეობებში.

საული 9 განვითარების ტიპის მიხედვით საადრეო ჯიშია. ბუჩქი ნახევრადგართხმული, მცენარე სწორმდგომი 95-100 სმ სიმაღლის. ხასიათდება ზამთარ და გვალვაგამძლეობის მაღალუნარიანობით. თავთავი თეთრი, ფხიანი, თითისტარისებრი, მეჩხერი, სიგრძით 12-13 სმ. თავთავში 55-60 მარცვალით, კარგად ილეწება. მარცვალი წითელი, მარცვალში წებოგვარას შემცველობა 25,0%-ია, ხოლო ცილის — 11%. გასავრცელებლად საქართველოში ჯიში დარეგისტრირებულია 2011 წლიდან.

მცენარის სიმაღლე. ინტენსიური ტიპის ჯიშებისადმი მკაცრი მოთხოვნაა მექანიზებული აღებისადმი ვარგისიანობა. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია მცენარის სიმაღლე. მართალია იგი განპირობებულია ძირითადად მემკვიდრულობით, მაგრამ ხშირად მაღალი აგროფონის შემთხვევაშიც შესაძლებელია მცენარის ზრდა-განვითარება ისე მოხდეს, რომ ნათესი ჩაწვეს. ამიტომ, სელექციონერები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, როგორც მცენარის სიმაღლეს, ასევე ჩაწოლისადმი გამძლეობას. ამ მაჩვენებლის მიხედვით, შესწავლილი ჯიშები ყველა აკმაყოფილებს მოთხოვნას, გარდა ახალციხის წითელი დოლისა. ამ ჯიშის მაღალმოზარდობა (126.1-139.4 სმ) მემკვიდრულია და მისი თავიდან აცილება შესაძლებელია, მხოლოდ ზრდის რეგულატორების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ახალციხის წითელი დოლი გამოირჩევა იმით, რომ არ ახასიათებს სრული ჩაწოლა, არ უარესდება მარცვლის ხარისხი, არ ახასიათებს მარცვლის ცვენადობა და თავთავში მარცვლის გაღივება.

ერთი თავთავის მარცვლის და 1000 მარცვლის მასა. ხორბლის ეს ორი ნიშანი განსაზღვრავს, როგორც პროდუქტიულობას, ასევე ხარისხს. გარდა ამისა, ისინი კოლერაციაში იმყოფებიან სხვა ნიშნებთან. მაღალი ბარტყობა ხშირად იწვევს თავთავში მარცვლების რიცხვის შემცირებას და შესაბამისად ერთი თავთავის მასის კლებასაც. ამიტომ ამ ნიშნებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სელექციის დროს. ცდის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი ჯიში ვარძია ერთი თავთავის მარცვლის მასით (1.9გ-2.9გ) არ ჩამოუვარდება არც სტანდარტ ბეზოსტაია 1-ს (1.7გ-2.4გ) და არც ინტროდუქცირებულ ჯიშებს (2.1გ-2.3გ და 2.0გ-2.9გ). ახალციხის წითელი დოლი კი გაზრდილი ბარტყობის გამო მკვეთრად ჩამორჩება თავთავში მარცვლების რიცხვითაც და ერთი თავთავის მასითაც (1.5გ-1.7გ). 1000 მარცვლის მასით ვარძიას ისეთივე მაჩვენებელი აქვს, როგორც შემოტანილ ჯიშებს და მცირედ ჩამორჩება სტანდარტს.

მოსავლიანობა. ყველა მაჩვენებლების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადგილობრივი და შემოტანილი ჯიშები კონკურენტუნარიანები არიან მაღალი მოსავლის მისაღებად, მოსავლიანობის ანალიზი კი აშკარად გვიჩვენებს ცალკეული ჯიშების მკვეთრად განსხვავებულ შესაძლებლობებს რეგიონების და კლიმატური პირობების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სტანდარტი ბეზოსტაია – 1 და გავრცელებული ჯიში საული 9 გამოირჩევა სტაბილური მოსავლიანობით. მათი მოსავლიანობა რეგიონების მიხედვით თითქმის არ იცვლება და მოსავლიანობის სხვაობა მერყეობს 0.5-0.6 ტონის ფარგლებში. ეს მაჩვენებელი შესაბამისად ჯიშებში ასეთია: ვარძია – 2,7 ტონა; ახალციხის წითელი დოლი – 2.2 ტონა; ამიკუს – 2.2 ტონა და გალლუს – 1.8 ტონა. როგორც მოსალოდნელი იყო ახალციხის წითელმა დოლმა ყველაზე მაღალი მოსავალი მოგვცა ახალციხეში (5.5ტ), ყველაზე დაბალი ხაშურში (3.3ტ); შესაბამისად ვარძიის მაჩვენებლებია: ყველაზე მაღალი მოსავალი ახალციხე (7.1ტ) და ყველაზე დაბალი თელავში (4.4ტ); შემოტანილი ჯიშებიდან მაქსიმალური მოსავალი მოგვცა ამიკუსმა დედოფლისწყაროში (8.1ტ);

შერჩეული ჯიშების შესწავლით ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივი ჯიში ვარძია ფაქტიური მოსავლიანობით თითქმის უთანაბრდება საულ 9-ს და აღემატება ბეზოსტაია 1-ს და ჩამორჩება შემოტანილ ჯიშებს. ახალციხის წითელი დოლი საგრძნობლად ჩამორჩება ფაქტიური მოსავლიანობით სტანდარტსაც და ინტროდუქცირებულ ჯიშებსაც. საინტერესოა პოტენციური მოსავლიანობის შედეგები (50 თავთავის და 1მ2-ზე 600 ღეროს მოსავალი). ამ მაჩვენებლის მიხედვით ახალციხის წითელი დოლის, სტანდარტის და შემოტანილი ჯიშების შესაძლებლობები თითქმის ერთნაირია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ახალციხის წითელ დოლს აქვს შესაძლებლობა მოვლა-მოყვანის ოპტიმალურ პირობებში მოგვცეს მაღალი და მყარი მოსავალი.

2014-2016 წლებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა:

საქართველოს რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიში ახალციხის (მესხური) წითელი დოლი და სელექციური ჯიში ვარძია ხასიათდება მაღალი სამეურნეო და ბიოლოგიური მაჩვენებლებით, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალი, ხარისხიანი და მყარი მოსავალი. ინტროდუქცირებული ჯიშები მართალია მოსავლიანობით აღემატებიან ადგილობრივ ჯიშებს, მაგრამ ხარისხობრივი მაჩვენებლებით იმდენად ჩამორჩებიან, რომ უპირატესად მიგვაჩნია ადგილობრივი ჯიშების გავრცელება;

ადგილობრივი ჯიშები გამოირჩევა უფრო სტაბილური მოსავლიანობით, ვიდრე შემოტანილი ჯიშები;

ახალციხის (მესხური) წითელი დოლი მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (5.5ტ/ჰა), საშუალო მოსავლიანობით დედოფლისწყაროში (4.1ტ/ჰა) და დაბალმოსავლიანობით ხაშურსა (3.3ტ/ჰა) და თელავში (3.4ტ/ჰა);

ჯიში ვარძია მაღალმოსავლიანობით ხასიათდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (7.1ტ/ჰა), საშუალო მოსავლიანობით დედოფლისწყაროსა (6.7ტ/ჰა) და ხაშურში (5.7ტ/ჰა) და დაბალმოსავლიანობით თელავში (4.4ტ/ჰა);

საზოგადოებრივი აზრი

როგორი მერი მინდა ჰყავდეს ჩემს მუნიციპალიტეტს?!

დღეს 19 ოქტომბერია. სულ 2 დღეღა აშორებს საგარეჯოელებს საარჩევნო დღიდან. მზიანი, თბილი დღეა. ადამიანებსაც გაუთბათ გულები თავს დატეხილი საშინელი გრიგალებისა და ქარების შემდეგ. გამოცოცხლებაა საგარეჯოს „ბირჟაზეც“, სკვერშიც ჩამომსხდარან საგარეჯოელი პენსიონერები. ყველა რაღაც ინტერესით შეჰყურებს რიგით მოსაუბრეს. ერთი შეხედვით ჩვეული სერიოზულობა, კახური, დარბაისლური გამომეტყველება აქვთ... ისინი გასული საუკუნის ათეულობით წლებში ჩატარებულ არჩევნებს ყურადღებას არც აქცევდნენ, ზოგჯერ არც იცოდნენ ვის ირჩევდნენ, რა „პოსტზე“. ახლა?! ახლა კი გაცხოველებული ინტერესია, რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს, რომელი პარტია იქნება მმართველი. მუნიციპალიტეტის მერობის ყველა კანდიდატს იცნობენ, მიკროსკოპში ატარებენ მათ პიროვნებას, ოჯახებს, საზოგადოებასთან ურთიერთობებს, წინაპრებს და შთამომავლობას... რომ ჰკითხოთ, მათთვის ყველა კანდიდატურა დადებითია, მისაღებია, მათ თვალწინ გატარებული ცხოვრებით, მაგრამ მათ შორის მაინც საუკეთესოს არჩევენ... მას, ვისაც შეეძლება რაიონში თუნდაც მინიმალური სამუშაო ადგილების შექმნა, ხალხის დასაქმება, სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა, გზების მოწესრიგება, ბუნებრივი აირის ტარიფის შემცირება, ელექტროენერგიის გაიაფება, ტყეების, გარემოს დაცვა, მიწების მოფრთხილება, გლეხისათვის ხელის შეწყობა, ახალგაზრდებსა და მოხუცებზე ზრუნვა... ერთი ის იციან, რომ დიდი პასუხისმგებლობაა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა... თუ ბიუჯეტი ხელს არ შეუწყობს, ვერც ვერაფერს გააკეთებს...

ამჯერად კითხვაზე პასუხის გასაცემად „შანსი“ საპენსიო ასაკამდე შორს მყოფებს მივეცით და აი, მათი პასუხებიც:

<u>ჯამბულ ანდრიაშვილი</u>

ჯამბული 13 წელზე მეტია საგარეჯოში ხარაზად მუშაობს და ხალხში ხელმარჯვე და პატიოსანი ხელოსნის სახელი აქვს. ხელობიდან გამომდინარე მოსახლეობასთან ხშირი კონტაქტებით კარგად იცის მათი საწუხარი და პრობლემები.

თუ როგორი ხელმძღვანელი სურს ჰყავდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტს, არც კი დაფიქრებულა, ისე გვიპასუხა: – პირველი, რომ იზრუნოს სამუშაო ადგილების შესაქმნელად და აქედან გამომდინარე ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მართალია, კეთდება გზები, მაგრამ კვლავ მის

საზრუნავად რჩება, მან უნდა მოაწესრიგოს ქალაქსა და სოფლებში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საქმე, იზრუნოს გზების მოწესრიგებაზე, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

<u>ნიკო და ბია</u> – *გარემოვაჭრეები*.

როგორი გამგებელი გვსურს ჩვენი რაიონისათვის?! ისეთი, რომელიც ხალხზეც იზრუნებს... დაწყებული საქმეები ბოლომდე და ხარისხიანად მიიყვანოს და შუა გზაზე არ მიატოვოს გაურკვეველი დროით. ერთხელ და სამუდამოდ მოაგვაროს სასმელი წყლისა და გზების პრობლემები, რომ ყველა დროსა და წუთს არ სჭირდებოდეს შეკეთება, შექმნას სამუშაო ადგილები და ხალხს საარსებო წყარო გაუჩინოს. ხალხი ცრუ დაპირებებით კი არ „ჰკვებოს“, არამედ რეალურად შეასრულოს მათთვის მიცემული დაპირებები.

<u>თამაზი</u> – *ხელოსანი*

უმუშევრობა, გაჭირვება, საარსებო წყაროს არ ქონა, სიღატაკე – ამ პრობლემებთან მებრძოლი და გამმკლავებელი მერი მინდა რომ ჰყავდეს ჩვენს რაიონს. დღედაღამ რომ თავს დასტრიალებდეს და გარს უვლიდეს, ხალხის გაჭირვებას ესალბუნებოდეს. ბევრი იმუშაოს ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. იმდენი პრობლემაა სადღეისოდ დაგროვილი ჩვენს რაიონში, რომ მოსაგვარებლად ბარე ხუთი კაცი არ ეყოფა და კარგი იქნება, თუ ახალი მერი მათ ნახევარს მაინც მოუგვარებს ჩვენს მოსახლეობას.

<u>მუზეუმი</u>

აქ ჩვენი ისტორია და მომავალია

დღევანდელობით *ცხოვრობს 21-ე საუკუნის საგარეჯო...*

დრო აღარ რჩება, ჟამთა სვლა თავის მარწუხებში გვაქცევს, წისქვილის მძიმე ქვასავით მბრუნავ ორომტრიალში ჩართული ადამიანი აღარც თუ ვეღარც კი ვფიქრობთ იმ საინტერესო ფაქტებზე, რომლებიც ჩვენი მიწა-წყლის ისტორიას მოგვითხრობენ...

პატარა, სარკოფაგისმაგვარ სივრცეში გამომწყვდეულა ქვისა და ბრინჯაოს ხანის პაწია საგნები. პაწიაო, ვამბობთ – მიწას კი შემოუნახავს დიდ და მნიშვნელოვან საიდუმლოდ, დღეს ფასდაუდებელ ნივთადქცეული ქვის საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღები, ქვის ნამგლის ფრაგმენტები, ძვლის ნივთები... ვინ იცის, როგორი აღნაგობის იყო მისი მფლობელი, რას აკეთებდა ამ იარაღებით, როგორ იგერიებდა გარეული ცხოველებისა თუ გარეშე ტომების შემოტევას...

აქვეა ბრინჯაოს ხანის ნივთებიც, ნივთები, რომლებიც ბრინჯაოს ხანის ადამიანის საქმიანობას, ცხოვრებას გვაცნობს.

– მათი უმეტესი ნაწილი დატაცებულია, – მეუბნება *საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი* **ბადრი დრეიძე**, – გასული საუკუნის 90-იან წლებში ყველაფრის დაუცველობამ მუზეუმის ამ უიშვიათეს ექსპონატებსაც უწია და დღემდე გაურკვეველია – სად გაქრა თითქმის მსოფლიო ისტორიისა და კულტურის სადარი ნივთები... აქ რაც გამოფენილია, ბრინჯაოს ხანიდან, ძირითადად პატარძეულელი არქეოლოგის გელა გიუნაშვილის მიერაა შემოწირული. ეს ნივთები სწორედ პატარძეულშია აღმოჩენილი. პატარძეულში იყო აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის მხედარი, რომელიც ოქროსი ეგონათ და მუზეუმში „დასახიჩრებული“ შემოვიდა. სპილენძის მასალისგანაა დამზადებული საგარეჯოში ნაპოვნი მონიტამდელი ფულის ერთეული – კავკასიური სიკილა.

პაწია სივრცეში გამოკეტილა ჩვენი, გარეკახეთის დიდზე დიდი ისტორია, საინტერესო, ბევრი რამის მთქმელი და მიმანიშნებელი, რაღაცნაირად შორეული და ახლობელიც, ათასწლეულებმიწაშიგამოვლილი, რაღაცნაირად ცივიც და თითქოს თბილიც... ნეტავ, რომელი წყაროდან იღებდა ამ დოქით ბრინჯაოს ხანის რომელიღაც წელს დაბადებული გოგონა, იქნებ მიწაში დიდხანს ყოფნას სულაც არ დაუბზარავს დოქი და შეყვარებულის დანახვისას ათრთოლებული ხელიდან გაცურებული უნებლიედაც ჩაეხუტა მიწას... იქნებ? მაშინაც ხომ იყო სიყვარული?! აბა, ამხელა პლანეტას რა ატრიალებდა და რა ატრიალებს?!..

ერთმანეთს ენაცვლება ქვის, ბრინჯაოს, რკინის იარაღები – საბრძოლო თუ შრომის...

გასულ საუკუნესაც ვუახლოვდებით. აქ კი ჩემი თაობის ბებიების ნახმარი საჩეჩელი, ცხრილი, ცხავი, ხორბლის საფქვავი ქვის კოდები, თითისტარები, აკვანია... გამორჩეულ ადგილზე აწყვია გარინდებულები, დაღონებულები, აშკარაა აღარავინ შეხებია მათ პატრონისეული მზრუნველობით. ხევსურული კაბა – მოქარგულ-დაშიბული, ხელით მოქსოვილი 6 კგ-ს რომ იწონიდა – ხევსური ქალის სამოსი...

რუსეთის მე-11 არმიის შემოსვლას შეგვახსენებს სავარძელი, რომელიც საბჭოთა კავშირის მარშალ სოლომონ ბუდიონის სართიჭალაში სტუმრობისას საგარეჯოელებმა პატივისცემის ნიშნად მიართვეს როგორც „წითელ მარშალს“. სავარძელი სამხედრო აღკაზმულობითაა აგებული: საჯდომი – სამხედრო დოლი, საზურგე – ფარია და მასზე გამოსახულია მხედრის ხელთათმანები და ნალი – კავალერიის სიმბოლო, აქვეა ზარი. სახელურები –

სამხედრო მხედრის ცულებია, საავარძლის ფეხები – ხმლები და ხანჯლები.

– „ბუდიონის სავარძელი“, როგორც მას უწოდებენ, ჩვენი მუზეუმის გახსნის დროს შემოიტანეს და არ ვიცით, ვინ, – *მეუბნება ბადრი*, – გვაქვს უამრავი მემუარული ხასიათის ჩანაწერები, რომლებიც დაწვრილებით გვიყვებიან პასკევიჩის მიერ ჯავახეთში სომხების შემოსახლებას. ეს მართლაც უძვიფასესი დოკუმენტია ჩვენი ისტორიის. ჩვენთან იმდენად დიდი და მრავალფეროვანი მასალა მოიპოვება, რომ ვინც ძირფესვიანად გაეცნობა მას, სურვილი გაუჩნდება – ჩვენს მუზეუმს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელი ეწოდოს და და არამხოლოდ მხარეთმცოდნეობის.

თქვენ თვითონ ნახეთ „ნუმიზმატიკური საგანძური“... ბევრი მუზეუმი ვერ იამაყებს ისეთი ექსპონატებით, როგორიც ჩვენ გვაქვს. ჩვენი მუზეუმის სიამაყე იყო 1923 წელს მოსკოვში გამოცემული სახარება. და კიდევ, ერთი დიდი ტკივილია ჩვენთვის რაპირა, რომელიც 2500 წლისაა, ბრინჯაოს ხანის ექსპონარტია და დღესაც სიღნაღის მუზეუმს ამშვენებს. იგი 1999 წელს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა კიაზო ფიცხელაურმა შესასწავლად ითხოვა თურმე და შ მდეგ სიღნაღის მუზეუმს გადასცეს დროებით... ჩვენ არაერთხელ გამოვითხოვეთ ჩვენი კუთვნილი, მაგრამ... უშედეგოდ...

დღემდე ძიებაშია 2010 წელს მუზეუმიდან მოპარული ნინოწმინდელი საბჭოთა ჯარების მხედართმთავრის პანტელეიმონ შიოშვილის 20 საბრძოლო ორდენი, მელხიორის სინი, სახარება, „ვეფხისტყაოსანი“. დანაშაული პოლიციას უნდა გაეხსნა, მაგრამ...

ზემოთაც გითხარით, საინტერესო მასალები გვაქვს მუზეუმში. ასევე, საინტერესო ღონისძიებები ტარდება მუზეუმის ღია სპორტულ მოედნებზე... აქ საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, „წითელი ჯვრის“ საგარეჯოს ფილიალი, საგარეჯოს საჯარო სკოლები ერთობლივ



<u>დასასრული მე-6 გვერდზე</u>

მუზეუმი

„აქ ჩვენი ისტორია და მომავალია“

დასასრული

ღონისძიებებს ატარებენ. მოეწყო საგარეჯოელი მხატვრების ნინო ჯანგულაშვილის, სანდრო გაგნიაშვილის, თამრიკო როსტიაშვილის, ირმა შველიძის ნამუშევრების გამოფენა. „წითელი ჯვრის“ საგარეჯოს ფილიალის ორგანიზებით აქ წარმოდგენილი იქნა მისი ბენეფიციარების ნაქსოვები და ნაქარგები.

ჩვენთან გამოიფინა და მუზეუმის საკუთრება გახდა ადრე ხაშმის საბავშვო ბაღის შენობაში განთავსებული ექსპოზიცია – ქართველი მხატვრების ნამუშევრები, აქვეა საგარეჯოელი ივანე ლაღიძის მიერ შესრულებული ნამუშევრები – ძველი ფოტოების კოლექცია.

მუზეუმის გამოცოცხლებას, აქ დამთვალიერებლების მოზიდვას ემსახურებოდა 27 მაისს ჩატარებული „დამე მუზეუმში“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ტარდება. აქ მოსულ საზოგადოებას თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ფოტოხელოვანმა რამაზ ნაცვლიშვილმა (ელექტრონული ვერსიით), თავისი ლექსები გაგვაცნო გურამ სამუნაშვილმა, შესანიშნავი ნამუშევრები გვაჩვენეს მხატვარმა ნინო ჯანგულაშვილმა, სანდრო გაგნაშვილმა, თამრიკო როსტიაშვილმა, ირმა შველიძემ. ძალიან მინდა ჩვენი მუზეუმი საგარეჯოელთათვის ყველაზე საყვარელი ადგილი გახდეს, – ***მეუბნება ბადრი*** და მჯერა, რომ ეს სიტყვები გულწრფელია და უახლოეს მომავალში ოცნება ახდება, რადგან აქ იმხელა სამუშაოებია ჩატარებული, იმხელა მასალა მოძიებული, წარმოუდგენელია, ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად ასაკისა, პასუხი არ გასცეს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. აქ საგარეჯოს რაიონის (მუნიციპალიტეტის) თითოეული სოფლის ისტორია (თავისი ტოპონიმებით, საგამოფენო მასალით), თითოეული ადგილის სახელწოდება ისეა აღნუსხული და დიდი რუდუნებით მოძიებული.

მართალია აქ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ მუზეუმი დანგრევას, ექსპონატები დაზიანებას გადაურჩა, მაგრამ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად პროექტის შედგენისას დამპროექტებელს და შემდეგ მშენებელს ბევრზე ბევრი ნიუანსი გამორჩათ. უპირველეს ყოვლისა, მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ეს შენობა მუზეუმია და აქ წყლის შემკრები მილები („ჟოლობები“) დასჭირდებოდა შენობის კედლებს, ამით კი ის ნესტი იქნებოდა აცილებული თავიდან, რაც დღეს მუზეუმის თითოეულ ოთახში თუ საგამოფენო დარბაზში ზაფხულშიც მკვეთრად იგრძნობა. შენობის ფანჯრები უმოქმედოა – არ იხსნება. შენობებს უკვე რემონტი სჭირდება. ეზოში განთავსებულ საპირფარეშოებს არც წყალი მიეწოდება და არც კანალიზაცია აქვს....სასმელი წყალი 2012 წლის 1 აპრილიდან (რაც ბადრი დრეიძეა დირექტორი) დღემდე მხოლოდ 4-ჯერ მიეწოდა, არადა, აქ მართლაც წარმოუდგენელია მუდმივი თუ არა, გრაფიკით მაინც გათვალისწინებული სასმელი წყლის მიუწოდებლობა. რადგან ხშირად ეწყობა სპორტულ-კულტურული ღონისძიებები და სასმელი წყალი არა მარტო ღონისძიების მონაწილეებს სჭირდებათ...

მუზეუმიდან წამოსულს მომავალში ამ პრობლემების მოგვარების დიდი იმედებით გამომაცილეს მისმა დირექტორმაც და თანამშრომლებმაც – არჩევნები ჩაივლის და რაიონის ახალი ხელმძღვანელობა მოგვხედავსო.

ვნახოთ, ჩვენც გვაქვს იმედი... აქ ხომ ჩვენი წარსულია და ამ წარსულის გაცნობით თითოეულ ჩვენგანში მომავლის საკეთებელი და ჩვენი ქართველებად მოვლენების მისიაც იკვეთება...

P.S. საუბარში მუზეუმის დირექტორი ხშირად ემადლიერებოდა რაიონის ყოფილ გამგებელს გია ჩალათაშვილს, რომელმაც მართლაც იმ პერიოდისათვის თოვლისა და წვიმის წყლისაგან გადაარჩინა მუზეუმიც და მისი ექსპონატებიც – მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია და სწორად გათვალა ის, რაც მომავალში სხვა თაობებმაც უნდა გამოიყენონ – ის, რაც მატერიალურ-კულტურულად და სულიერად დირებულია, მას მართლაც მოვლა-პატრონობა, სწორად შეფასება სჭირდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური

დასასრული

I კატეგორიის სპეციალისტი
დემეტრე ზუკაკიშვილი
დაიბადა 1990 წელს.

განათლება საქართველოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (2008-2012წწ), სამართლის ფაკულტეტი, ბაკალავრი;

სამუშაო გამოცდილება: უსაფრთხოების ადმინისტრატორი „კორსტანდარტბანკი“ (2014წ), გიდი, ტექნიკური მუშაკი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანებაში (2013-2015წწ) პოლიციის რიგითი, შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (2001-2012წწ). ბანკი „კონსტანტას“ დაცვის თანამშრომელი (2013-2015წწ). 2015 წლის მარტიდან დღემდე არის I კატეგორიის სპეციალისტი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურში.

სპორტი

საბჭო

ჩვენი სამბისტები ქარელში

6-7 ოქტომბერს ქარელში ჩატარდა ორგზის მსოფლიო ჩემპიონის ჯემალ მჭედლიშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა სამბოში 2001-2002 წლებში დაბადებულთა შორის.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ სპორტსმენებმაც მიიღეს და დაიკავეს შემდეგი ადგილები:

II ადგილი – ლაშა ოზგელდოვი (მზისგული, მწვრთნელი – სოსო ჭიკაძე).

III ადგილი – მახარე გულბანი (უდაბნო, მწვრთნელები: ლაშა ფირცხელანი და ირაკლი დადვანი).

საბჭო

ბრინჯაოს მედლები სერბეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან

2017 წლის 14-15 ოქტომბერს სერბეთში ჩატარდა მსოფლიო პირველობა სამბოში ჭაბუკთა შორის, სადაც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს საგარეჯოს სპორტგაერთიანების სპორტსმენებმა – **ლაშა მათიაშვილმა და ამირან დარბაისელმა.**

სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა

ამბროლაურის საერთაშორისო ტურნირზე

2017 წლის 13-15 ოქტომბერს ქ. ამბროლაურში ჩატარდა გურამ სადარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 2003-2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ სპორტსმენებიც. მათ მიერ ტურნირზე მოპოვებული შედეგები ასეთია:

გიგი ძურხული და დავით კუჭუაშვილი (ორივე I ადგილი), **თორნიკე თულაშვილი და ნიკა მელაშვილი** (II ადგილები), **ნიკა საგინაშვილი, თორნიკე ასაბაშვილი** და **გიორგი საგინაშვილი** (III ადგილები). მწვრთნელები **რამაზ ასაბაშვილი და დათო ბაბუნაძე.**

გივი დაბახიშვილი

ძიუდო

თბილისში, მახათაძის საერთაშორისო ტურნირზე

14-15 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა მამუკა მახათაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ სპორტსმენებმა.

2004-2005 წლებში დაბადებულთა შორის საპრიზო ადგილები დაიკავეს:

გიორგი დურიშვილმა (I ადგილი), **დათო კევლიშვილმა** (Iადგილი), **ლუკა სვიმონიშვილმა** (II ადგილი), **გიგი ხოსიტაშვილმა** (III ადგილი), **ლევან ღრეულმა** (III ადგილი).

2006-2007 წლებში დაბადებულთაგან:

ბექა დიღმელაშვილმა (I ადგილი), **ლუკა დარისპანაშვილმა** (III ადგილი) და **გიორგი მესროფოვმა** (III ადგილი).

ახლადგახსნილ სპორტის სახეობას მიმდევრები და გულშემატკივრები ჰყავს

უშუ სანდას ღია ტურნირი საგარეჯოში

15 ოქტომბერს საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტულმა დარბაზმა მორიგ საინტერესო სპორტულ ასპარეზობას უმასპინძლა. ჩატარდა უშუ სანდას ღია ტურნირი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თასზე, რომელიც მოეწყო საგარეჯოს უშუ კუნფუგუს კლუბ „არწივის“ (პრეზიდენტი იოსებ გრატიაშვილი) ორგანიზებით. ტურნირის ჩატარება შეთანხმებული იყო საქართველოს უშუს ეროვნულ ფედერაციასთან, რის გამოც საგარეჯოელი გულშემატკივრების გარდა ასპარეზობას ესწრებოდნენ ამ ფედერაციის პრეზიდენტი და ფედერაციის გამგეობის წევრები.

რაც შეეხება ტურნირის მონაწილეებს, მასში საგარეჯოელებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, თელავისა და დედოფლისწყაროს ნაკრები გუნდების მებრძოლები.

ასპარეზობა სამ ასაკობრივ ჯგუფში 14-15, 16-17 და 18 წლის ზემოთ ასაკის მებრძოლებში გაიმართა, რომელსაც მსაჯობდნენ საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის სამსაჯო კოლეგიის მსაჯები ავთანდილ ჯიშიაშვილის ხელმძღვანელობით.

ღია ტურნირის უშუალო ორგანიზატორის, საგარეჯოს უშუ კონფუგუს პრეზიდენტის იოსებ გრატიაშვილის მიერ საპრიზო ადგილზე გასული მებრძოლებისათვის სხვა ჯილდოებთან ერთად დაწესებული იყო ფულადი ჯილდოებიც – დიდებში – 100, მოზარდებში – 50 ლარის ოდენობით, ასევე, „გამორჩეული მებრძოლის“ თასი.

სულ ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდა 50 მებრძოლი ვაჟი და გოგონა, რომლებიც 10 წონით კატეგორიაში პაექრობდნენ და აღსანიშნავია ის, რომ ამ ათი წონითი კატეგორიიდან სამში საგარეჯოელმა მებრძოლებმა შეძლეს პირველობის მოპოვება. კერძოდ, 14-15 წლიან მოზარდებში გაიმარჯვა საგარეჯოს IV საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლემ, აფხაზეთიდან დევნილმა ლუკა ნედოსეკინმა (52 კგ წონითი კატეგორია); 16-17 წლიან მოზარდებში გამარჯვებული გამოვიდა ამავე სკოლის მოსწავლე კონსტანტინე ბერძენიშვილი (65 კგ წონითი კატეგორია), ხოლო იორმუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლე სეიმურ გასანლი ჩემპიონი გახდა ამავე ასაკში 56 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზეთა შორის.

სამ ოქროს მედალთან ერთად „არწივის“ მებრძოლებმა ამდენივე ვერცხლის მედალიც მოიპოვეს. 14-15 წლიან გოგონათა შორის 65 კგ წონითი კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა მარიამ ბერძენიშვილმა, მისმა ძმამ ნიკოლოზ ბერძენიშვილმა 16-17 წლიანებში, სერგი დოდონაძემ კი 14-15 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში.

მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ გაიოზ ფოცხვერაშვილი (70 კგ წონითი კატეგორია), დავით აბაშიძე (70 კგ წონითი კატეგორია 16-17 წლიანებში), გიორგი კანჯარაშვილი (+18 წლიანებში 60 კგ წონითი კატეგორია), ნიკა კუჭუაშვილი (16-17 წწ. 64 კგ წონითი კატეგორია), ტრისტან ფილაური (+18 წ 90 კგ წონითი კატეგორია) და 16-17 წლიანებში ძაგული დოდონაძე (52 კგ წონითი კატეგორია).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საპრიზო ადგილებზე გასული საგარეჯოელი და სხვა მებრძოლები დაჯილდოვდნენ შესაბამისი თასებით, მედლებით, დიპლომებითა და ფულადი პრიზებით. „გამორჩეული მებრძოლის“ თასის მფლობელი გახდა ქუთაისელი მებრძოლი ამირან ადამაძე. ასპარეზობის მსვლელობისას, დებულების თანახმად, შესვენებაზე მოეწყო ტურნირის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. ტურნირს ესწრებოდნენ საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ვერულაძე, ვიცე-პრეზიდენტი ლაშა სუმბულაშვილი, გამგეობის წევრები: თეიმურაზ შერვაშიძე, გოჩა ჩიტიძე, მერაბ გოგშელიძე, დავით თათარაშვილი, გიორგი რიჟამაძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი, ამავე გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი სპორტის საკითხებში ლაშა იაკობიძე, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორი გიორგი მაისურაძე.

უშუ სანდას ღია ტურნირი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მხარდაჭერითა და ორგანიზაცია „საქართველოს მოხალისეს“ მოხალისეების დახმარებით იყო ორგანიზებული, რისთვისაც საგარეჯოს უშუ კონფუგუს კლუბ „არწივის“ პრეზიდენტი დიდ მადლობას უხდის მათ ხელმძღვანელებს: გიორგი გზირიშვილს, გიორგი მაისურაძეს და ეთო ღრუბელაშვილს, ასევე მოცეკვავეთა და მუსიკალური ანსამბლების „სამას“ და „მირელას“ ხელმძღვანელებს ნათია ალფაიძეს და მარინა ურდულაშვილს მათ მიერ ტურნირის საზეიმო გახსნაში შეტანილი წვლილისათვის.

როგორც ტურნირის დამთავრების შემდეგ იოსებ გრატიაშვილთან გავარკვიეთ, წლევანდელი წელი წარმატებით დაუწყიათ „არწივის“ მებრძოლებს. კერძოდ, მაისში თბილისში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე მეორე საპრიზო ადგილზე გასულა სერგი დოდონაძე, მესამე საპრიზო ადგილზე კი კონსტანტინე ბერძენიშვილი.

2016 წლიდან ღია ტურნირის ჩატარებამდე მათი მებრძოლების სახელზეა 11 ოქროს, 22 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს მედალი; იმედია, საგარეჯოში ჩატარებულ ამ ბოლო ტურნირში მოპოვებულ მედლებს ისინი ახლო მომავალში სხვა სინჯის მედლებსაც შემატებენ.

გივი დაბახიშვილი

რაგბი

პატარძეულელი „ვეფხვების“ წარმატება ჩოხატაურსა და წინანდალში

19 ოქტომბერს „პატარძეულის ვეფხვების“ მორაგბეებმა თავიანთი მორიგი გასვლითი თამაში გამართეს ჩოხატაურში, სადაც შეხვდნენ I ლიგის გათამაშებაში მონაწილე ოზურგეთის მოთამაშეებს. პატარძეულელებმა ეს შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს და ოზურგეთელები მშრალი ანგარიშით 44:0 დაამარცხეს.

პატარძეულელმა მორაგბეებმა ასევე, წარმატებით იასპარეზეს წინანდალში გამართულ „ბ“ ლიგის მატჩში თელავის გუნდთანაც, რომელიც ანგარიშით 31:29 დაამარცხეს.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი საგარეჯოში

6-8 ოქტომბერს საგარეჯოში ჩატარდა საქართველოსა და საკავშირო ტურნირების ჩემპიონისა და პრიზიორის, ცნობილი საგარეჯოელი ფალავნის ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2003-2004-2005 და 2007-2008 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის. ტურნირში საქართველოს რეგიონის მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ამ სტილის მოჭიდავეები, რის გამოც ასპარეზობაში მონაწილეთა რიცხვმა 300-ს მიაღწია.

გურიის, სამეგრელოს, აჭარის, იმერეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, თბილისის და სხვა სპორტსმენებთან ერთად ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების თამაზ ყიფიანისა და ვასილ მარტიაშვილის რვა აღსაზრდელი, რომელთაც შეძლეს ოთხ საფინალო ორთაბრძოლაში მონაწილეობის მიღება და აქედან ერთი პირველი და სამი მეორე ადგილის დაკავება. კერძოდ, ტურნირზე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 65 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ტარიელ პაატაშვილმა. მეორე პრიზიორები და ვერცხლის მედლების მფლობელები გახდნენ მუხამად წუწაშვილი (63 კგ წონით კატეგორია), ლუკა თედიაშვილი (20 კგ) და ლუკა მარტიაშვილი (38 კგ). ამის გარდა, საგარეჯოელთაგან ტურნირის ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს შალვა მაჭარაშვილმა (38 კგ) და გიგა ჩუნთიშვილმა (42კგ). გუნდური შედეგებით კი პირველი ადგილი დაიკავა სომხეთმა, მეორე – აჭარამ, მესამე – სოფელ ნორიოს გუნდმა.

ასპარეზობის დასასრულ ტურნირის ჩემპიონები დაჯილდოვდნენ მედლებით, სიგელებითა და თასებით. II-III ადგილებზე გასულ სპორტსმენებს კი გადაეცათ შესაბამისი მედლები და სიგელები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის ტურნირი რესპუბლიკურ დონეზე ერთხელ ჩატარდა და ახლა მწვრთნელ თამაზ ყიფიანის დამსახურებით წელს შესაძლებელი გახდა მისთვის საერთაშორისო რანგის ტურნირის სახელის მინიჭება. თამაზ ყიფიანი სულ ერთი წელიც არაა რაც საგარეჯოში მრავალწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდა და ამ მცირე დროის მიუხედავად მაინც შეძლო საგარეჯოსაკენ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სპეციალისტთა ყურადღების მიპყრობა.

ამას გარდა, ვასილ მარტიაშვილთან ერთად მას მანავის საჯარო სკოლის ბაზაზე გახსნილი აქვს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექცია ვაჟებისათვის, გოგონებს კი თავისუფალ ჭიდაობაში ავარჯიშებს და როგორც გვპირდება – საგარეჯოს ჭიდაობის სკოლაში აქედანაც სულ მალე წამოვა ახალი სახეები.

გივი დაბახიშვილი

უდაბნოს საჯარო სკოლას „ეტალონის“ ორი გამარჯვებული ჰყავს...

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ერთ ლამაზ დღეს სატელევიზიო პროექტ „ეტალონის" ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი შემოქმედებით ჯგუფთან ერთად უდაბნოს სკოლას ესტუმრა.

სკოლაში "ეტალონის" დასახვედრად მზადება დილიდანვე დაიწყო. სკოლის ეზოში ინტელექტ-შეჯიბრის შემოქმედებით ჯგუფს საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მანანა ცუცქირიძე, უდაბნოს სკოლის დირექტორი მარიამ გელაშვილი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები დახვდნენ.

სპეციალურად ამ დღისთვის მოწყობილ ღონისძიებაზე 2016-2017 სასწავლო წლის "საგარეჯოს ეტალონმა მოსწავლემ" და უდაბნოს სკოლის მოსწავლეთა მუსიკალურმა

ჯგუფმა სიმღერები შეასრულეს.

გოჩა ტყეშელაშვილმა გასული სასწავლო წლის "საგარეჯოს ეტალონ –მოსწავლეს", ლევან გუჯეჯიანს გამარჯვება კიდევ ერთხელ მიულოცა და სკოლის ღირსეული წარმოჩენისთვის ოქროს ფონდის წევრობის დამადასტურებელი სიმბოლური საჩუქარი პირადად გადასცა.

ამასთან, უდაბნოს სკოლას "ეტალონის" ეგიდით, ლიტვის საელჩოსგან სპეციალური ალმანახი გადაეცა, პირადად ლიტვის ელჩის, გიედრიუს პუოჯუნასის ხელმოწერით.

მარიამ გელაშვილი –
უდაბნოს სკოლის დირექტორი: „

– „ეტალონი" ქართული სულის გამოძახილია. რაც ჩვენთვის მშობლიურია, ქართულია, ყველაფერი გვიყვარს, განსაკუთრებით ეს პროექტი და მისი ავტორი და წამყვანი ბატონი გოჩა. რაც შეეხება იმას, თუ სად დავკიდებთ ფოტოსურათს, ამას თავად მოსწავლეები გადაწყვეტენ. მე დიდი სიამაყით მივუჩენდი ადგილს მას ჩემს კაბინეტში, თუმცა უმჯობესია, სტენდზე დავკიდოთ, დერეფანში (სადაც სიგელებია გამოფენილი), რომ ყველამ ნახოს. „საგარეჯოს ეტალონი მოსწავლის" ტიტულის დაუფლებამ ლევანი უფრო მოტივირებული გახადა, უფრო გაიხსნა, იცის

რა უნდა, პროექტში მონაწილეობით დიდი გამოცდილება მიიღო."

მანანა ჩართოლანი:

2016-2017 წლის "საგარეჯოს ეტალონი მოსწავლის" ლევან გუჯეჯიანის დედა:

– "შთაბეჭდილებებითა და სიამაყით აღსავსე ვარ. არა მარტო ჩემი შვილი, არამედ მთელი უდაბნოს ბავშვები მეამაყებიან. ყველანაირი ინტელექტუალური შეჯიბრი მისასალმებელია. "ეტალონი" კი მართლაც რომ ეტალონია. ჩემი შვილი ამ გამარჯვების შემდეგ უფრო მოტივირებული გახდა. ღირებულებების გადაფასება მოახდინა."

შეხვედრის ბოლოს, ინტელექტ-შეჯიბრის ავტორმა და წამყვანმა მოსწავლეებს წარმატებები უსურვა.

იმ დღეს არავის უფიქრია, რომ იმავე დღეს 2017-2018 სასწავლო წლის „საგარეჯოს ეტალონი მოსწავლე"

უდაბნოს სკოლის 112 მოსწავლიდან კვლავ ერთი გახდებოდა.

19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ საგარეჯოს პირველმა საჯარო სკოლამ „ეტალონის" ინტელექტ-ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელშიც საგარეჯოს საჯარო სკოლების წარჩინებული მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას.

ღონისძიებას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი რომან მუჩიაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბადარი, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის

უფროსი მანანა ცუცქირიძე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სკოლების წარმომადგენლები, დირექტორები, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ.

"საგარეჯოს ეტალონი მოსწავლის" ტიტულს უდაბნოს სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ტატო ჩართოლანი დაეუფლა.

რ-ოგორ მენატრები ჩემო საყვარელო,
ო-ცნებით შენთან ვარ მუდამ,
ბ-ევრს ვნატრობ, შენთან რომ მოვიდე,
ა-რაფრით უკან არ დავიხევ, არა!!!

მონატრება და რა საშინელი გულისტკენაა ჩემთვის შემოდგომის დადგომა, შვილო, რობა!

შენ ჩემი პირველი შვილი იყავი, პირველი დიდი სიხარული, რომელმაც გამაძლიერა და სიცოცხლის ხალისი მომცა.

30 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. ამ დღეს დედა გავხდი და ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იყო ქვეყანაზე, შენ ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი შვილი იყავი.

მალე, ძალიან მალე გავიდა 34 წელი. ამ წლების მანძილზე ბევრი სიხარული და ტკივილი გადავიტანეთ ერთად. ხან მაბრაზებდი, ხან მახარებდი.

როგორ მიყვარს იმ დღეების გახსენება. თურმე როგორი ბედნიერები ვყოფილვართ მაშინ. მაშინ-მეთქი, ვამბობ, შვილო, იმიტომ, რომ ის დღეები წარსულში დარჩა. ასევე, წარსულში დარჩა შენი 34 წელი.

ახლა 38 წლის ხდები. ოთხი წელი უშენოდ ვიცხოვრე. საშინელი მონატრების ოთხი წელი. ყველა დღე ერთნაირი უდიმდამო და არაფრის მთქმელია, მაგრამ მე მაინც ცოცხალი ვარ, დრო კი მიდის, შვილო და მიხარია დროის სწრაფი დინება, რადგან მცირდება შენი და ჩემი, დედა-შვილის შეხვედრის დრო.

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალია და დროის გასვლასთან ერთად ყველანაირი გულისტკივილი გიმსუბუქდებაო, მაგრამ, ეს ყველაფერი ტყუილია, შვილო, რაც დრო გადის, უფრო მენატრები, უფრო მაკლიხარ და უფრო ძლიერ მეწვის გული უშენობით. ჩემო უყისმათო, ჩემო სიცოცხლით გაუხარელო შვილო, რობა!!!

30 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, 38 წლის ხდები. ჩვენც მთელი შენი ოჯახი მოვალთ შენს მუდმივ სასუფეველთან, აგინთებთ სანთლებს, მოგილოცავთ დაბადების დღეს კიდევ და კიდევ გეტყვით, რომ უზომოდ გვენატრები, ჩვენო საყვარელო!!!

ნათელში იყოს შენი კეთილი სული, შვილო რობა!!!

„ყველა მხარეს შენ დაგეძებ,
ვდგავარ, შვილო, უაზროდ.
დრო გადის და იმ აზრს ვერ ვეგუები,
რომ წახვედი და აღარ დაბრუნდები.
მენატრები, უშენობას ვერ ვუძლებ,

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲠᲝᲑᲘᲖᲝᲜ (ᲠᲝᲑᲐ) ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გული ტირის, თვალები კი შენ გეძებს,
ცოცხალი ვარ, მაგრამ მკვდარის
ტოლფასი,
რად წახვედი, დედას რად გაეყარე?!
წახვედი და ჩემი გული შენ გაგყვა.
გამაგიჟე, გული ძლიერ მატკინე.
მენატრები, თავს ვერაფერს ვუხერხებ,
დრო გადის და გული არა მშვიდდება,
მინდა შვილო სულ რომ შენზე
ვიფიქრო –
ვხუჭავ თვალებს და ოცნებით
შენთან ვარ.
ოცნებაში როგორ ტკბილად გეხვევი,
შენს სუნთქვას ვგრძნობ,
თითქოს გვერდით მიდგახარ,
შენი სითბო დედას გულში ეღვრება.
თვალებს ვახელ და სიმწარე მერევა –
არსად არ ხარ – დედაც გიჟს ემსგავსება,
დაგეძებ და მაინც ვერსად ვერ გნახე,
გეძახი და ხმას ვერ ვაწვდენ შენამდის.
ამ სიმწარემ ლამის მთლად გამაგიჟოს,
გავგიჟდე და დამეკარგოს აზრები,
ვედარ ვიგრძნო, თუ როგორ მენატრები.
მინდა, შვილო, შენთან ვიყო,
ჩაგეხუტო, დაგიკოცნო სხეული.
და მოვიკლა მონატრების სურვილი.
ეს დღეც მოვა, გამიხსენებს უფალი.
მოვალ შენთან, მაგრად ჩაგეხუტები,
დაისვენებს ჩემი ტანჯული სული.

მანანა ᲥᲝᲥᲘᲐᲣᲠᲘ-ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲜᲘᲙᲐ ᲑᲔᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ დღეს გილოცავთ, ჩემო საყვარელო, ჩემო ლამაზო, სიცოცხლით სავსე, გაუხარელო, ჩემო ნიკა. უკვე მეორე დაბადების დღე მოდის უშენოდ – 31 ოქტომბერი.

ძნელია დაბადების დღის გადახდა უშენოდ. გული უფრო და უფრო საშინლად გვტკივა, როცა ვაცნობიერებთ, რომ სამუდამოდ გაექეცი შენს საყვარელ დედამამას, ბებოს თუ პაპას და ერთადერთ ძმას, რომელსაც არაფერი დაუზოგავს შენთვის.

ვერ მივეჩვიეთ უშენობას, ჩემო სიცოცხლევ, აგერ უკვე წელიწადი და 6 თვე უნდა გახდეს, რაც შენ ჩვენთან აღარა ხარ. ჩვენ ისევ გელოდებით, როცა შენი მშობლები ჩვენი ეზოს კარებს შემოხსნიან, მგონია, რომ შენც მოდიხარ სახლში, მაგრამ... ყველაფერი ტყუილია, თუმცა, მე მაინც ამ ტყუილით ვცხოვრობ, შენი მოსვლის იმედით, შენს მოლოდინში გავლევ ამქვეყნიურ მწარე დღეებს.

სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა, შვილო ნიკა. შენც უზომოდ გინდოდა სიცოცხლე, მაგრამ ვერაგი ბედისწერა, საშინელი ავარია უფრო ძლიერი აღმოჩნდა. რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერდება შენი სიყვარული, შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი. ყველას ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. მოვალთ შენს საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს, დაგაყრით სევდიან, მწარე ცრემლებს, სიცოცხლით გაუხარელო, ჩემო 23 წლის ნიკა.

გილოცავთ დაბადების დღეს

შენი გამწარეგული ბებო, პაპა,
დედა, მამა და ძმა
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲔᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მთავარ სპეციალისტს ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხში ნინო ფირყულაშვილს მეუღლის

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑ ავადმყოფის მომვლელად, სავაჭრო ობიექტში გამყიდველად. დამიკავშირდით ტელეფონზე: 574 90 51 58.

ᲚᲐᲚᲘ ᲐᲚᲘᲒᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ
საგარეჯო

რედაქტორი:
ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲘᲚᲐᲣᲠᲘ

ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲛᲐᲪᲜᲔ

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში".
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru